



# პროტოკოლი N 8 ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობა ექთნის უშუალო მეთვალყურეობით - DOT

**მიზანი:**

- რეგულარული და რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობაზე უშუალო მეთვალყურეობა;
- დანიშნული მედიკამენტების უწყვეტი მიღების მონიტორინგი;
- მკურნალობისადმი დამყოლობის უზრუნველყოფა;
- ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატებით გამოწვეული გვერდითი მოვლენების შეფასება;
- მონიტორინგით გათვალისწინებულ ვიზიტებსა და გამოკვლევებზე პაციენტის მიმართვა.

**სამიზნე ჯგუფი:** რეგულარული და რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პაციენტი, რომელიც საჭიროებს ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობას.

**ვისთვის არის პროტოკოლი განკუთვნილი:** პროტოკოლი განკუთვნილია ამბულატორიული და ჰოსპიტალური სექტორის პრაქტიკოსი ექთნებისთვის.

**სამედიცინო დაწესებულებაში პროტოკოლის გამოყენების პირობები:** პროტოკოლის გამოყენება აუცილებელია ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც მკურნალობენ და სამედიცინო მეთვალყურეობას გადიან ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები.

## ზოგადი რეკომენდაციები

- რეგულარული და რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულმა პაციენტმა ექიმის მიერ დანიშნული ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატები ექთნის უშუალო მეთვალყურეობით უნდა მიიღოს;
- რეგულარული ტუბერკულოზით დაავადებულმა პაციენტმა ექთნის უშუალო მეთვალყურეობით უნდა მიიღოს კვირაში მინიმუმ 5 დოზა
- რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულმა პაციენტმა მკურნალობის მთელი პერიოდის მანძილზე ექთნის უშუალო მეთვალყურეობით უნდა მიიღოს კვირაში მინიმუმ 6 დოზა, მათ შორის ინტენსიურ ფაზაში ექთანმა პაციენტს უნდა გაუკეთოს საინექციო ფორმა;
- ექთანმა უნდა აწარმოოს ექიმის მიერ შერჩეული სამკურნალო რეჟიმის შესაბამისად პაციენტზე გაცემული პრეპარატების ყოველდღიური მონიტორინგი;
- მკურნალობისადმი ცუდი დამყოლობის შემთხვევაში ექთანმა უნდა აცნობოს ექიმს და პაციენტზე ორიენტირებული მიდგომით უზრუნველყოს მკურნალობისადმი დამყოლობის გაუმჯობესება;
- უშუალო მეთვალყურეობით მკურნალობის პროცესში ექთანმა უნდა გამოავლინოს ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობით გამოწვეული გვერდითი მოვლენები და/ან პაციენტის მწვავე კლინიკური მდგომარეობები და იმოქმედოს ადექვატურად;
- ექთანმა უნდა უზრუნველყოს პაციენტის დროული ვიზიტი მონიტორინგით გათვალისწინებულ ვიზიტებსა და გამოკვლევებზე.

## პროცედურის თანმიმდევრობა

- გაეცანით ექიმის მიერ პაციენტისათვის დანიშნულ სამკურნალო რეჟიმს და დოზებს;
- ყოველი DOT-ის წინ წინასწარ მოათავსეთ კონკრეტული პაციენტისთვის განკუთვნილი მედიკამენტის დღიური დოზა სპეციალურ პაკეტში;
- დაიცავით, მწარმოებლის მიერ მოწოდებული, მედიკამენტების შენახვის ყველა წესი, ვიზუალურად გადაამოწმეთ მედიკამენტი, რომელიც უნდა მისცეთ პაციენტს;
- მიეცით პაციენტს პრეპერატი და სთხოვეთ მიიღოს ის თქვენს თვალწინ. არასოდეს დაუტოვოთ მედიკამენტის მორიგი დოზა პაციენტს, ყოველთვის მიეცით თქვენი თანდასწრებით, თუ საჭირო გახდა შეამოწმეთ პაციენტის პირის ღრუ;
- პაციენტის მიერ დოზის მიღება/არმიღება გააფორმეთ DOT-ის მონიტორინგის ფორმაში;
- პაციენტის მიერ დოზის გამოტოვების შესახებ აცნობეთ ექიმს. ამასთანავე, გაესაუბრეთ პაციენტს, მიაწოდეთ მას ინფორმაცია, წყვეტილი მკურნალობის რისკების შესახებ, ეცადეთ პაციენტთან ერთად გადაჭრათ ცუდი დამყოლობის გამომწვევი პრობლემა (იხ. შესაბამისი პროტოკოლი);
- თვეში ერთხელ გააკონტროლეთ პაციენტის წონა და ცვლილების შესახებ აცნობეთ ექიმს, რათა მან საჭიროების შემთხვევაში დროულად მოახდინოს დოზის კორექცია;
- შეაფასეთ პაციენტი მედიკამენტების გვერდით მოვლენებზე (იხ. პროტოკოლი „ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობით გამოწვეული გვერდითი მოვლენების მართვა“);
- შეაფასეთ პაციენტი კლინიკური გამწვავების ან გართულების თვალსაზრისით და საჭიროების შემთხვევაში გააგზავნეთ ექიმთან;
- შეახსენეთ პაციენტს, როდის აქვს დანიშნული განმეორებითი ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული კვლევები და ვიზიტი ექიმთან;
- შეახსენეთ პაციენტს, როდის აქვს დანიშნული განმეორებითი ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული კვლევები და ვიზიტი ექიმთან;

### რეგულარული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი:

- ექიმთან ვიზიტზე უნდა გაიგზავნოს და ნახველის ნაცხის მიკროსკოპია უნდა ჩატარდეს ინტენსიური ფაზის დასრულებისას;
  - თუ ინტენსიური ფაზის ბოლოს აღებული ნაცხი დადებითია, მესამე თვის ბოლოსაც უნდა ჩატარდეს ნაცხის მიკროსკოპია;
  - თუ მესამე თვის ბოლოს აღებული ნაცხი დადებითია, უნდა ჩატარდეს ნახველის კულტურალური გამოკვლევა და წამლებისადმი გამძლეობის ტესტი (დამატებით იხ. ცხრილი N1);
- რენტგენოლოგიური გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობას წყვიტავს ექიმი.

### რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი:

- ექიმთან ვიზიტზე უნდა გაიგზავნოს ყოველთვიურად;
- ნახველის ნაცხის მიკროსკოპია და კულტურა უნდა ჩატარდეს ყოველთვიურად ნაცხისა და კულტურის კონვერსიამდე, ხოლო კონვერსიის შემდეგ 3 თვეში ერთხელ;
- რენტგენოლოგიურ კვლევაზე პაციენტი უნდა გაიგზავნოს ყოველ 6 თვეში და მკურნალობის ბოლოს;
- სხვა ლაბორატორიული კვლევების აუცილებლობას წყვიტავს ექიმი.

დამატებით იხილეთ ცხრილი N2.

ცხრილი N1

რეგულარული ტუბერკულოზის მონიტორინგი ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების მიხედვით.					
მკურნალობის თვეები					
1	2	3	4	5	6
[=====	=====]	[-----	-----	-----	-----]
	• მგბ(-)			• ა თუ მგბ(+), ნაჩვენებია კულტურა და DST <sup>ბ</sup>	• ა თუ მგბ(+), ნაჩვენებია კულტურა და DST <sup>ბ</sup>
[=====	=====]	[-----	-----	-----	-----]
	• მგბ(+)	• თუ მგბ(+), ნაჩვენებია კულტურა და DST <sup>ბ</sup>		• მგბ(+) და მგბ(-) ორივე შემთხვევაში კეთდება კულტურა და DST <sup>ბ</sup>	• თუ მგბ(+), ნაჩვენებია კულტურა და DST <sup>ბ</sup>
<p>აღნიშვნები:</p> <p>[=====] მკურნალობის ინტენსიური ფაზა (HRZE)</p> <p>[-----] გაგრძელების ფაზა (HR)</p> <p>• ნახველის ნაცხის გამოკვლევა</p> <p>მგბ (+) ნაცხ-დადებითი</p> <p>მგბ(-) ნაცხ-უარყოფითი</p> <p>ა გამოტოვეთ, თუ პაციენტი მგბ(-) იყო მკურნალობის დასაწყისში და მეორე თვის ბოლოს</p> <p>ბ მკურნალობის მეხუთე ან მეექვსე თვეს, ნაცხის ან კულტურის პოზიტიურობის გამოვლენის შემთხვევაში (ან მულტირეზისტენტობის დადგენის შემთხვევაში) მკურნალობა მიჩნეული უნდა იქნას უშედეგოდ.</p>					

ცხრილი N 2

რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობის მონიტორინგი	მკურნალობის დაწყებიდან ნაცხისა და კულტურის კონვერსიამდე	ნაცხისა და კულტურის კონვერსიის შემდეგ
კლინიცისტის მიერ ჩატარებული მონიტორინგი	თვეში ერთხელ	ყოველთვიურად
ბაქტერიოლოგიური მონიტორინგი:		
• ნახველის ნაცხის მიკროსკოპია	ყოველთვიურად	3 თვეში ერთხელ
• კულტურალური კვლევა	ყოველთვიურად	3 თვეში ერთხელ
წონის მონიტორინგი	ყოველთვიურად	
გულმკერდის რენტგენოგრაფია:	ყოველ 6 თვეში და მკურნალობის ბოლოს	

წყარო:

Directly Observed Therapy (DOT) Manual for Tuberculosis Programs in British, Columbia 2011  
ტუბერკულოზის მართვის გაიდლაინი, 2013